პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 296 (9764) | ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობისადმი. აღმოვფხვრათ ზერელეობა და დეკლარაციული მეთოდები სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში (მე-2 გვერდი).
სსრ კავშირის პროკურატურაში (მე-2 გვერდი).
ეკონომიკის საკითხებზე. — ხის გადამამუშავებელი მრეწველობის ახალი, მძლავრი რეზერვი (მე-3 გვერდი).
ა. რომანოვი. — ფინური სახვითი ხელოვნების გამოფენა (მე-3 გვერდი).
გ. ზარდალიშვილი. — პაკისტანი ამერიკის აგრესიულ გეგმებში (მე-3 გვერდი).
საბჭოთა კავშირისათვის ფინეთში აგებული ყინულმჭრელის წყალში ჩაშვების ცერემონია (მე-4 გვერდი).
ამერიკის ახალი ზეგავლენა საფრანგეთზე (მე-4 გვერდი).
საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კონფერენცია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სოფლის აგიტატორების საბრძოლო ამოცანა

სოციალისტური სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას. პოლიტიკური აგიტაცია პარტიული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა ჩვენი სამეურნეო მიღწევების საფუძველთა საფუძველია. უახლოეს წლებში საკასებით რომ უზრუნველყოთ მოსახლეობა სასურსათო საქონლით, ხოლო მსუბუქი და კვების მრეწველობა ნედლეულით, საჭიროა დავრაზმოთ ადამიანები ამ ამოცანების პრაქტიკულად შესრულებისათვის.

რა დიდი და ფართო სამოღვაწეო ასპარეზია სოფლის აგიტატორების წინაშე! ღრმად განვუმარტოთ კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ფართო მასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება, მჭიდროდ დავრაზმოთ ისინი პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ დიდ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად, — აი რა უნდა შეადგენდეს ახლა სოფლად მთელი პოლიტიკური მუშაობის ძირითად შინაარსს.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გააჩაღეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა. მაგრამ ბევრგან საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის ამომფხვრილი არსებითი ნაკლოვანებანი. პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე აღინიშნა, რომ ხულოს, შუახევის და სხვა რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკური აგიტაცია ვერ დგას ახალი ამოცანების დონეზე. ხულოს რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები ამხ. ესებუა, ყუფარაძე, თამაზაშვილი, ჭანუყვაძე და სხვები არ კითხულობენ პოლიტიკურ მხსენებებსა და ლექციებს მშრომელებისათვის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს, კომუნისტები ულმობლად ამხილებენ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ნაკლოვანებებს, მწვავედ აკრიტიკებენ პარტიის რაიონულ კომიტეტებს იმისათვის, რომ მასებში ახსნა-განმარტებითი და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა მჭიდროდ არ არის დაკავშირებული სამეურნეო ამოცანებთან. ეს სერიოზული ნაკლი ამხილეს, მაგალითად, საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ბათუმის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტებმა. მათ სამართლიანად აღნიშნეს, რომ საზოგადოებრივი მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების ჩამორჩენა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენებითაც აიხსნება. ხშირად აგიტატორები თავიანთ საუბრებს ფორმალურად მართავენ და არ აკავშირებენ მას იმ მორიგ სამეურნეო ამოცანებთან, რომლებიც კოლმეურნეობის, ცალკეული ბრიგადის წინაშე დგას. კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან მოწყობილია აგიტატორთა სკოლა. მაგრამ სკოლის მეცადინეობა რაიკომის ლექტორის გამოუცხადებლობის მიზეზით უკვე მეორედ ჩაშალა. როგორც ამ, ისე რაიონის ბევრ სხვა კოლმეურნეობაში იშვიათად იმართება ლექციები და მოხსენებები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პროპაგანდა სწრაფად წარმავალი, ხანმოკლე კამპანია როდია. ზოგიერთ პარტიულ კომიტეტს მიაჩნია, რომ შეიძლება პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა დამთავრებულად ჩაითვალოს. ეს დიდი შეცდომაა! აუცილებელია, რომ პოლიტიკური აგიტაცია ეწყობოდეს სისტემატურად, ყოველდღიურად და დიფერენციერებულად. ყველა კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში აგიტატორები დაუცხრომლად უნდა განუმარტავდნენ მასებს სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე კონკრეტულ ამოცანებს.

სოფლის აგიტატორების საპატიო მოვალეობაა მთელი თავიანთი მუშაობა დაუმორჩილონ მშრომელთა მობილიზაციას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით დასახულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა შესასრულებლად. სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების პროპაგანდა არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. მაგალითად, ყვარლის რაიონის ჭიკაანის მალეწკოვის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა მწვავედ გააკრიტიკეს პარტბიურო, რომელმაც ცუდად მოაწყო სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ახსნა-განმარტება მასებში. 38 აგიტატორიდან ნახევარზე მეტი საუბარს სრულებით არ მართავს. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა“. ასეთი ფაქტები სხვა პარტიულ ორგანიზაციებშიც არის.

როგორც მთელ პროპაგანდისტულ მუშაობაში, ისე პოლიტიკურ აგიტაციაშიც მთავარი და გადამწყვეტია საუბრის იდეური დონე, მისი შინაარსი. აგიტატორი მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობის ცენტრალური ფიგურაა. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან მიიღონ გადამჭრელი ღონისძიებანი აგიტატორებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად. არ შეიძლება შეეურიგდეთ იმას, რომ პარტიის ზოგიერთი რაიკომი ჯერეროვან ყურადღებას არ აქცევს აგიტკოლექტივების მეცადინეობას, ნაკლებ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევს პარტიულ ორგანიზაციებს აგიტატორთა კადრების შერჩევასა და აღზრდაში, ითმენს ფორმალიზმს საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში. პოლიტიკური აგიტაციისადმი პარტიის დმანისის რაიკომის ფორმალურ დამოკიდებულებას მოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში 13 აგიტატორიდან 12 მცირემცოდნეა, ამასთან ზოგ მათგანს არათუ საუბრის გამართვა არ შეუძლია, არამედ გაზეთის წაკითხვაც კი უძნელდება.

მშრომელთა შორის პოლიტიკური აგიტაციის დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა მასში ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების სისტემატური და ფართო მონაწილეობა. პარტიის რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან რეგულარულად მოაწყონ პარტიული აქტივისტების პოლიტიკური მოხსენებებით გამოსვლა კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა კრებებზე, მიიღწიონ იმას, რომ ისინი უფრო ხშირად დადიოდნენ კოლმეურნეობებში, ფერმებში, ბრიგადებში, ესაუბრებოდნენ და ეცნობოდნენ ადამიანებს, ერკვეოდნენ საქმის არსებით მდგომარეობაში.

სოფლად პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება დიდად არის დამოკიდებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების, კულტურის სახლებისა და წითელი კუთხეების მუშაობაზე, მოსახლეობის კინომომსახურებისა და რადიომაუწყებლობის უკეთ მოწყობაზე. ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს თეთრი წყაროს რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. განსაკუთრებით ცუდად წარმოებს ლექციური პროპაგანდა. ცოტა იმართება ლექციები აგრონომიული მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავეთა გამოცდილებაზე. ონის რაიონში რეგულარულად არ ეწყობა მოსახლეობისათვის კინოფილმების ჩვენება.

საბჭოთა საქართველოს კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასობით და ათეულათასობით აგიტატორი დიდ, ნაყოფიერ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა. მათი საბრძოლო ამოცანაა შემდგომ განავითარონ კოლმეურნეთა და ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტივობა და ინიციატივა, ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის ამოცანების გადაჭრისათვის. აგიტატორებმა ყველა კოლმეურნეობაში, მტს-სა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ უნდა გაავრცელონ და წარმოებაში დანერგონ მოწინავეთა გამოცდილება, მათი მუშაობის ხერხები და მეთოდები.

აგიტატორთა მრავალრიცხოვანი არმია მოწოდებულია უდიდესი როლი შეასრულოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

გაიხსნა მოძრაობა ქვეზან-აკარმარის რკინიგზის შგზზე

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). გაიხსნა მოძრაობა ქვეზან-აკარმარის რკინიგზის ახალ ხაზზე, რომელიც გაყვანილ იქნა ტყვარჩელის შახტებიდან ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკამდე ქვანახშირის გამოზიდვის გასაადვილებლად.

ტყვარჩელელი მეშახტეები რკინიგზის ამ შტოს გახსნას შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ. შახტებიდან გამაუხვებელი ფაბრიკისაკენ უკვე დაიძრნენ ქვანახშირით დატვირთული მატარებლები.

ქვანახშირის დატვირთვა-გამოტვირთვა რკინიგზის ხაზზე მთლიანად მექანიზებულია.

ჩვენს დიად სამშობლოში



სვერდლოვსკის რკინიგზის მუშაკებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება მძიმე წონის მატარებლების ჩქაროსნულად ტარებისათვის. მოწინავე მემანქანეები ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს, გეგმის გადამეტებით გადააქვთ ათასობით ტონა ტვირთი. **სურათზე:** მძიმე წონის შემადგენლობა სვერდლოვსკ-დრუჟინინოს უბანზე.

ფოტო ა. გრახოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲝᲪ ᲬᲔᲚᲡ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ ᲔᲠᲗ ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲖᲔ

ქასლი (ჩელიაბინსკის ოლქი), 15 დეკემბერი. (საკდესი). ტიუმუკის მტს-ში მორიგი რემონტიდან გამოუშვეს ტრაქტორი სტზ № 24. ეს ყველაზე ძველი ტრაქტორია სადგურში. იგი მიღებულ იქნა 20 წლის წინათ — მტს-ის მოწყობის დღეებში, 1933 წლის დეკემბერში.

მტს-ში მუშაობის 20 წელი აღნიშნა სადგურის ერთ-ერთმა უძველესმა მექანიზატორმა კომუნისტმა ა. ნ. ბლინოვმა. ტრაქტორი სტზ № 24 მას ჩაბარეს, როგორც კი მექანიზატორთა კურსები დაამთავრა, როცა იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტრაქტორისტი იყო. მას შემდეგ იგი გაუნუწყვეტლივ მუშაობს ერთ მანქანაზე, სიყვარულით უვლის მას, ზუსტად იცავს ექსპლოატაციის ყველა წესს. ამხ. ბლინოვი ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებას, მაღალი ხარისხით ახორციელებს მინდვრის სამუშაოებს. მიმდინარე სეზონში მან დაამუშავა 600 ჰექტარზე მეტი მიწა.

ტრაქტორის პასპორტში აღნიშნულია, რომ თავისი არსებობის მანძილზე მანქანამ დაამუშავა 9.513 ჰექტარი მიწა. ასეთივეა ტრაქტორისტ ბლინოვის გამომუშავებაც.

ძველი ტრაქტორი კვლავ მზად არის მინდვრად მუშაობისათვის. კომუნისტმა ბლინოვმა ვალდებულება იკისრა 1954 წლს დაამუშაოს სულ ცოტა შვიდასი ჰექტარი მიწა და მის მიერ დამუშავებულ მინდვრებში მოიყვანოს მარცლეული კულტურების ასფუთიანი მოსავალი.

მოსკოვის ოლქი. ზაგორსკის სასკოლო ხელსაწყოთა მშენებლობის № 6 ქარხანა 40-ზე მეტი სახელწოდების სასწავლო ხელსაწყოებს უშვებს. ამჟამად იგი მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის ამზადებს ახალ ფილმოსკოპებს „მგუ-53“. მას აქვს ორი ობიექტივი, რაც შესაძლებელს ხდის გამოსახულების 30-110-ჯერ გადიდებას. **სურათზე:** ანა ვანიუშინა, რომელიც ნორმას 175 პროცენტით ასრულებს, „მგუ-53“ ფილმოსკოპების აწყობაზე.

ფოტო ა. პოზდნეევისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲦᲠᲛᲐ ᲭᲐᲑᲣᲠᲦᲘᲚᲔᲑᲘ ᲣᲦᲐᲑᲜᲝᲨᲘ

ტაშკენტი. (საკდესი). გულისტანის რაიონის მეცხოველეობის № 10 საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ღრმა ჭაბურღილიდან ექვსი მეტრის სიმაღლეზე ამოხეთქა წყლის შადრევანმა. ეს გოლოდნაია სტეპში პირველი არტეზიული ჭაა, საიდანაც წყალი შადრევნად სცემს.

მრავალ წელს ეძებდნენ ჰიდროგეოლოგები ლაშმბიან უდაბნოში მაღალხარისხოვან სასმელ წყალს. ათობით მეტრ სიღრმეზე გაჰყავდათ ჭაბურღილები, მაგრამ ყველა სინჯი მხოლოდ მლაშემწარე წყალს იძლეოდა.

„ბურვოდის“ შუა აზიის სამმართველოს კოლექტივმა გადაწყვიტა დიდ სიღრმეზე მოეძებნა მტკნარი წყალი. პირველი ღრმა ჭაბურღილი გაბურღეს № 10 საბჭოთა მეურნეობაში. როცა ბურღმა დიდ სიღრმეს მიაღწია, ზედაპირზე ანკარა წყალმა ამოხეთქა. ახალი ჭაბურღილი ამჟამად იძლევა 18 ლატრ საუცხო სასმელ წყალს წამში, რაც საკასებით უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობის მოთხოვნილებას.

მიწისქვეშა წყაროების გამოყენება დიდ პერსპექტივებს იძლევა ამისათვის, რომ უდაბნოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილ იქნან მაღალხარისხოვანი სასმელი წყლით, შეიქმნას ახალი რესურსები მინდვრების მოსარწყავად.

საჩუქრად საქართველოს მუზეუმს

ლენინგრადი. (საკდესი). დღეს ერმიტაჟიდან თბილისს გაიგზავნა ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის 450 ნაწარმოები, ძვირფასი ქვების, ხისა და სხვ. ნაკეთობანი. ისინი შეავსებენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ექსპოზიციასა და ფონდებს.

ერმიტაჟმა გადასცა დასავლეთ ევროპის თვალსაჩინო მხატვრების სურათები და ნახატები, ბრინჯაოს ანტიკური სტატუეტები და ამოლეტები, ძველი ქსოვილები, ჭურჭელი, ფაფუტრისა და ჭამანურის ნაკეთობანი, რომლებიც XVIII-XIX საუკუნეებში გამოშვებულია სხვადასხვა ქვეყნის ქარხნების მიერ.

მსოფლიო ხელოვნების ეს ძეგლები გადაეცა მომავ საქართველოს რესპუბლიკის მუზეუმს.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲘᲡ ᲬᲘᲜ

ვარშავა. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარეობს მზადება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის II ყრილობისათვის. შახტებში, ფაბრიკა-ქარხნებში და ახალშენებებზე ფართოვდება ყრილობის წინა სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრებაში ჩაბმულია ქვემო სილეზიის 200 ათასზე მეტი მუშა, პოლონეთის 130 ათასამდე ფეიქარი, პოზნანის სამრეწველო ოლქის 180 ათასზე მეტი მუშა, აგრეთვე პოლონეთის სხვა რაიონების მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები.

მოწინავე საწარმოები და მრეწველობის მთელი დარგები უპატაკებენ, რომ ვადამდე შეასრულეს წლიური საწარმოო გეგმები. უკვე 1954 წლის ანგარიშში მუშაობენ 10-ზე მეტი ქვანახშირის შახტის კოლექტივები, რეზინის მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები, მთელი რიგი მეტალურგიული ქარხნების მუშები, მანქანათმშენებლები, ფეიქრები. ი. ბ. სტალინის სახელობის პოზნანის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოუშვა რკინიგზის 12 ვაგონი. ლოძის მარხლევსკის სახელობის ფაბრიკის ფეიქრებმა მარტო ნოემბერში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 600 ათას მეტრამდე ქსოვილები. მეტალურგიული გიგანტის „ნოვა გუტას“ ელექტროსადგურის მშენებლები, გრაფიკის გასწრებით, სწრაფი ტემპით ამონტაჟებენ ქვაბსა და დიდ ტურბინაგრეგატს.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-9 პლენუმის მიერ მიღებული თეზისების განხილვა. თეზისებში გათვალისწინებულია ექვსწლიანი გეგმის ორი უკანასკნელი წლის (1954-1955 წლების) ძირითადი ეკონომიური ამოცანები და პოლონეთის სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის საჭირო ღონისძიებანი. საყრილობო თეზისების განხილვას მიეძღვნა პარტიის სავოევოდო კომიტეტთა პლენუმები, პარტიული აქტივის სავოევოდო კრებები, აგრეთვე პარტიის სამაზრო კომიტეტთა პლენუმები და პარტიული აქტივის სამაზრო კრებები. ახლა პოლონეთში მიმდინარეობს პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებები.

ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ

ბუქარესტი. (საკდესი). რუმინეთში დიდ მუშაობას ეწევიან ქალაქების კეთილმოსაწყობად.

სახეს იცვლის ტირგუ-მურეში, უნგრელთა ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი. ომის დროს ტირგუ-მურეში ძლიერ დაანგრიეს ჰიტლერელთა ჯარებმა. ქალაქის მცხოვრებლებმა სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობით აღადგინეს საწარმოები, კულტურული დაწესებულებები, საცხოვრებელი სახლები. აღდგენილი შაქრის ქარხანა ახლა სამჯერ მეტ პროდუქციას უშვებს, ვიდრე წინათ. ქალაქში აშენდა მთელი რიგი ახალი თანამედროვე საწარმოები, მათ შორის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უდიდესი ავეჯის კომბინატი. სახალხო ხელისუფლების წლებში ტირგუ-მურეშში გაიხსნა უნგრეთის სახელმწიფო თეატრი, სახელმწიფო ფილარმონია, სახვითი ხელოვნების საშუალო სკოლა, ბევრი მუშათა კლუბი და კინოთეატრი, საავადმყოფოები და პოლიკლინიკები. საშუალო სკოლების რიცხვი თითქმის 3,5-ჯერ გადიდდა ომამდელ პერიოდთან შედარებით. ამას წინათ ქალაქში სამი პარკი გაშენდა.

სახალხო რუმინეთის ერთ-ერთი უდიდესი ინდუსტრიული ცენტრი გახდა ქალაქი სტალინი. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალაქში აშენდა მუშათა საცხოვრებელი სახლების უბნები, ბევრი კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. მომდინარეობს ქუჩებისა და ტროტუარების მოასფალტება, ფართოვდება ქალაქის რადიოსატრანსლაციო ქსელი, წარმოებს ბინების გაზიფიკაცია. ქალაქში სამრეწველო და სასურსათო საქონლის ბევრი ახალი მაღაზია გაიხსნა. ქალაქ სტალინის მცხოვრებთა სიამაყეა ამას წინათ გახსნილი კულტურისა და დასვენების მშვენიერი პარკი, სადაც აშენდა საზაფხულო თეატრი.

ქალაქი გალაცი რუმინეთის სამრეწველო ცენტრი და უდიდესი ნავსადგურია დუნაიზე. ახალ გალაცში ჩნდება კეთილმოწყობილი მუშათა უბნები, აშენდა კულტურის სახლები, სკოლები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები, სამედიცინო დაწესებულებანი. გალაცში გაიხსნა გემთმშენებლობის ინსტიტუტი, რომელიც პირველია რუმინეთში.

ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ 1953 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

სოფია, 14 დეკემბერი. (საკდესი). სოფიის ეროვნულ სამხატვრო გალერიაში გაიხსნა 1953 წლის სამხატვრო გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის ნაწარმოებნი. ბულგარელ მხატვართა მეტი წილი ნამუშევრები მიძღვნილია თანამედროვე თემატიკისადმი, ბულგარეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობისადმი.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲣᲠᲐ ᲥᲕᲐᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲣᲖᲔᲑᲛᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲡ ᲮᲣᲗᲬᲚᲘᲓᲘ

პრაღა. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოკოლოვსკისა და ჩრდილოეთ ჩეხიის მურა ქვანახშირის აუზების მაღაროელებმა ამ უკანასკნელ წლებში დიდ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს. ქვანახშირის ამოღება აუზებში 1937 წელთან შედარებით მრავალი მილიონი ტონით გადიდდა.

სოკოლოვსკის მურა ქვანახშირის აუზმა ვადაზე 2 თვით ადრე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა.

10 დეკემბერს ხუთწლედი შეასრულა მურა ქვანახშირის ყველაზე დიდმა აუზმა — ჩრდილოეთ ჩეხიის აუზმა.

ᲐᲠᲐᲨᲐᲕᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘᲐᲜ ᲖᲝᲜᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲐᲜᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲒᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲮᲔᲠᲮᲘ

ცენტრალური არაშავნიადაგიანი ზოლის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განხორციელდა კ ო რ დ ი ნ ე ფ წ ე რ ო ვ ა ნ ი მ ყ ა ვ ე ნ ი ა დ ა გ ე ბ ს ი ს ა ნ ა ი ნ ე ბ ი ს ფ ა რ თ ო ც დ ე ბ ი. ამ ნიადაგებს აქ უდიდესი ფართობები უკავია. ისინი შეიცავენ დიდძალ მუავეებს, რომლებიც მკვეთრად ამცირებენ მინდვრების ნაყოფიერებას.

საშემოდგომო ხორბლისა და მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის გადიდების საინტერესო გამოცდილების შესახებ აცნობა საკდესის კორესპონდენტს არაშავნიადაგიანი ზ ო ლ ი ს მარცვლეული მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სასუქის განყოფილების გამგემ ე. ა. ტიულინმა.

ინსტიტუტის საცდელი მინდვრების თითო ჰექტარ ნათესებში შეიტანეს 20 ტონა ნაკელი. აქ მიიღეს ჰექტარზე 22 ცენტნერზე მეტი ხორბლის მოსავალი და 25,7 ცენტნერი მ რ ა ვ ა ლ წ ლ ი ა ნ ი ბალახების თივა. მინერალური სასუქის დამატებამ მხოლოდ უმნიშვნელოდ გადიდა მოსავალი — ჰექტარზე ერთნახევარი-ორი ცენტნერი ბარცვლით და თივით. მკვეთრად შეიცვალა მოსავლიანობის ს უ რ ა თ ი ნიადაგის გაკირიანების შედეგად. ნაკვეთზე, სადაც ნაკელის გარდა შეიტანეს კირი, ხორბლის მოსავალი გადიდდა 27,1 ცენტნერამდე, ხოლო ბალახების თივის მოსავალი — 50,6 ცენტნერამდე ჰექტარზე, ე. ი. ერთიორად. კიდევ უფრო მეტ ეფექტს მიაღწიეს, როცა კირი დაუმატეს ნაკელსა და მინერალურ სასუქს. სასუქის ეფექტიანობა ბევრად გადიდდა. ხორბალი მიიღეს 33,7 ცენტნერი ჰექტარზე, ხოლო თივა — 53,3 ცენტნერი.

ცდის შედეგად გამოირკვა, რომ ნიადაგის გაკირიანება აუმჯობესებს აგრეთვე მარცვლისა და თივის ხარისხს.

ასეთივე შედეგებია მიღწეული საწარმოოდ ცდებში. იაროსლავლის ოლქის კოლმეურნეობები „ვპერიოდი“ და „უდარნიკი“ გაუკირიანებელ ნაკვეთებზე იღებდნენ 21 ცენტნერ საშემოდგომო ჭვავს ჰექტარზე, ხოლო გაკირიანებულზე — 26 ცენტნერს. მრავალწლიანი ბალახების თივის მოსავალი ჰექტარზე თითქმის ათი ცენტნერით გადიდდა. კოლმეურნეობა „ვპერიოდმა“ გააკირიანა თითქმის მთელი ნათესი ფართობი. კოლმეურნეობა „უდარნიკის“ მარტო ერთმა ბრიგადამ განვლილი ხუთი წლის მანძილზე თავის მინდვრებში გაიტანა 8.000 ურემი კირი. ამის მეოხებით მ ა რ ცვლეულის მოსავალი 5-7 ცენტნერიდან 20-22 ცენტნერამდე გადიდდა, ხოლო მრავალწლიანი ბალახების მოსავალმა ჰექტარზე 70 ცენტნერ თივას მიაღწია.

ნიადაგის გაკირიანება მკვეთრად ადიდებს კარტოფილისა და ბოსტნეულის მოსავალს. მაგალითად, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობა „სორევნოვანიეში“ „სლავის“ ჯიშის კომბოსტომ გაკირიანებულ ნაკვეთებზე მოგვცა ჰექტარზე 410 ცენტნერი მოსავალი, გაუკირიანებელზე კი მხოლოდ 273 ცენტნერი.

დაკვირვებით გამოირკვა, რომ კირი არა მარტო სპობს სიმჟავეს ნიადაგში, არამედ ძირეულადაც აუმჯობესებს მიწის ფიზიკურ-ქიმიურ და ბიოლოგიურ თვისებებს. კირის ზეგავლენით ნიადაგში დიდდება აზოტის, ფოსფორის, კალიუმისა და სხვა მასაზრდოებელ ნივთიერებათა რაოდენობა, რომლებსაც ითვისებს მცენარე, უმჯობესდება სტრუქტურა, იქმნება ხელსაყრელი პირობები სასარგებლო მიკროფლორისათვის, რ ო მელიც აუცილებელია სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა განსავითარებლად. (საკდესი).

ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲥᲕᲔᲖᲐᲜ-ᲐᲙᲐᲠᲛᲐᲠᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲨᲒᲝᲖᲔ

პარტიული ცხოვრება

გავაძლიერეთ პარტიული ხელმძღვანელობა სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობისადმი

უნივერსიტეტის მეშვიდე პარტიულ კონფერენციაზე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მოწინავე უმაღლესი სასწავლებელია. იგი მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა კვალიფიციური სპეციალისტებისა და მეცნიერი მუშაკების მოსამზადებლად. უნივერსიტეტის სამეცნიერო კოლექტივი აქტიურად იბრძვის ახალი მიღწევებისათვის და თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა მეცნიერების წინსვლაში. მაგრამ მას ჯერ კიდევ აქვს სერიოზული ნაკლოვანებანი როგორც სასწავლო-აღმზრდელობითს, ისე იდეურ-პოლიტიკურ მუშაობაში. ამ ნაკლოვანებებზე გაამახვილეს ყურადღება უნივერსიტეტის VII პარტიულ კონფერენციაზე მომხსენებელმა — პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. დათუკიშვილმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა. როგორც მათ განაცხადეს, დაბალია სტუდენტთა ნაწილის თეორიული დონე და იდეურ-პოლიტიკური მომზადება. ამის მიზეზია არა მარტო ზოგიერთი სტუდენტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება სწავლისადმი, არამედ, რაც მთავარია, მეცადინეობის ცუდი ორგანიზაცია, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დაბალი დონე. ხშირია სტუდენტთა მიერ ლექციებისა და სემინარული მეცადინეობის უმიზეზოდ გაცდენა, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ასეთ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ დირექცია ადმინისტრაციულ ზომებს იღებს, მაგრამ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო აღმზრდელობითს ღონისძიებებს ვერ ახორციელებენ.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში სუსტად იყო დაყენებული იდეოლოგიური მუშაობა. ამას ადასტურებს თუნდაც ამ რამდენიმე ხნის წინათ უნივერსიტეტში გამართული საჯარო განხილვა პროფესორ პ. გუგუშვილის წიგნისა „ქარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკაში 1898 წლამდე“. ეკონომიური ფაკულტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ და სამეცნიერო საბჭომ ეს განხილვა ძალიან ცუდად მოაწყეს. ბევრი მოკამათის გამოსვლა ჯანსაღი, პრინციპული არ იყო. ზოგიერთი ვერ ამჩნევდა წიგნში დაშვებულ შეცდომებს. ამით ისარგებლა პროფესორმა პ. გუგუშვილმა და შეეცადა თავისი შეცდომები მიეჩქმალა. წიგნის საჯარო განხილვამ ვერ მიაღწია თავის მიზანს, სათანადოდ მხილებული და დაგმობილი არ ყოფილა პ. გუგუშვილის თეორიული და პოლიტიკური შეცდომები.

დიდი ნაკლოვანებანია სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ 1952 წლის 15 დეკემბერს გამოიტანა დადგენილება უახლოეს 2-3 წელიწადში 23 სახელწოდების სახელმძღვანელოს გამოცემის შესახებ. საბუნებაროდ, ამ მიმართულებით დღემდე სულ ცოტაა გაკეთებული. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენაზე მომუშავე ბრიგადაში, რომელსაც დოცენტი ვ. დონდუა ხელმძღვანელობს. ბრიგადის მუშაობას დიდად უშლის ხელს ის, რომ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ არის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციისა და მთელი რიგი სხვა საკითხები. ავტორთა კოლექტივს, რომელსაც დავალებული აქვს არქეოლოგიის სახელმძღვანელოს შედგენა, დღემდე ხელმძღვანელი არა ჰყავს. ამ სახელმძღვანელოთა შედგენას დიდად აფერხებს საქართველოს ისტორიისა და სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრების, ისტორიის დარგში მომუშავე წამყვანი პროფესორების შეუთანხმებელი, არაკოლეგიალური მუშაობა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს სახელმძღვანელოთა შედგენის საქმეში აგრეთვე ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა (გამგე პროფესორი შ. რადიანი), რომელმაც უნდა გამოსცეს სახელმძღვანელოები: „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, „ქართული კრიტიკის ისტორია“, „ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია“ და „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი“. ამ გამოცემათა მოსამზადებლად დღემდე შესრულებული არ არის ძირითადი სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მცირე იყო უნივერსიტეტის მეცნიერული პროდუქცია, ამასთან დაბალი იყო ამ პროდუქციის ხარისხი. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უნივერსიტეტში ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. მართალია, უნივერსიტეტი ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმას, მაგრამ დამუშავებული შრომების ნაწილი მეცნიერულად დაბალ დონეზე დგას.

უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამეფებულია უგულვებლობა და უკონტროლობა. რექტორატთან შექმნილი არ არის სარედაქციო საბჭო. ხშირია ისეთი შრომების გამოქვეყნების შემთხვევები, რომლებზეც არ არის ფაკულტეტების სამეცნიერო საბჭოებისა და კათედრების დადგენილება. უნივერსიტეტის გამომცემლობამ წელს გამოსცა აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით დაწერილი სტატიების კრებული „ქართველი ერის ისტორიის“ V წიგნის სახელწოდებით. წიგნში ნაციონალისტური პოზიციებიდან არის გამუქებული საქართველოსა და რუსეთის დამოკიდებულება, აღნიშნული არ არის რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობა ქართველი ხალხის კონსოლიდაციისათვის, მისი ეკონომიური და კულტურული აღმავლობისათვის. ამ წიგნის გამოცემა, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ახალი მიღწევების გაუთვალისწინებლად, კრიტიკული წინასიტყვაობის, შენიშვნებისა და კომენტარების გაუკეთებლად, აშკარა შეცდომას წარმოადგენს.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა, ყველა ამ ნაკლის მიზეზი ის არის, რომ პარტიული კომიტეტი უნარიანად ვერ ხელმძღვანელობდა იდეოლოგიურ მუშაობას. საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების მუშაობა ჯეროვან სიმაღლეზე ვერ იდგა, ისინი კარგად ვერ უძღვებოდნენ იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას, კადრების მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღების საქმეს. აღმოსავლეთმცოდნეობის, ფილოლოგიის, ბიოლოგიის და გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტების პარტიული ორგანიზაციები კომუნისტთა პოლიტიკურ სწავლებას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არ ახორციელებენ კონტროლს პარტიული განათლებისადმი.

მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი თ. ცხადაია შეეხო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებს და განაცხადა, რომ წინათ მექანიკოსების მოსამზადებლად საკმარისი იყო ცარცი და დაფა. ახლა მექანიკა-მათემატიკა ისე განვითარდა, რომ ამ დარგის შესწავლისათვის საჭიროა რთული ლაბორატორიები. მან დააყენა ფაკულტეტის სასწავლო-ლაბორატორიული ბაზის გაფართოების ღონისძიებათა, აგრეთვე უახლოეს წლებში უნივერსიტეტის ფაკულტეტების განვითარების პერსპექტიული გეგმის შედგენის საკითხი.

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა ი. ჯიბლაძემ აღნიშნა, რომ საანგარიშო მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა პარტიული კომიტეტი ფაკულტეტების პარტიულ ორგანიზაციებს. ფაქტიურად ეს ხელმძღვანელობა და დახმარება დამაკმაყოფილებელი არ იყო. ფაკულტეტების პარტიული ორგანიზაციები ნაკლებად ზრუნავენ კათედრების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. ამის შედეგია დიდი ნაკლოვანებანი კათედრების მუშაობაში.

ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა ა. სურგულაძემ იღაპარაკა ფაკულტეტის ნაკლოვანებებზე. ზოგიერთის აზრით, განაცხადა მან, აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ. ეს აზრი მცდარია. საქართველოს ისტორიოგრაფია მტკიცე მარქსისტულ საფუძველზე დგას და წინ მიიწევს, მაგრამ მეტად ნელა. არა გვაქვს ორიგინალური მარქსისტულად გამართული სახელმძღვანელოები. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიის შესწავლა. საქართველოს ისტორიის შესწავლაზე რესპუბლიკაში ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება მუშაობს, მაგრამ ჩამორჩენა მაინც გრძელდება, რადგან საქმეს აფერხებს ისტორიკოსთა შეუთანხმებელი, კარჩაკეტილი მუშაობა, მათი საქმიანობის ცუდი ორგანიზაცია, ობიექტური კრიტიკისა და თვითკრიტიკის არარსებობა. ჩამორჩენის დასაძლევად აუცილებელია ისტორიის დარგში მომუშავე სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია.

უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ე. ბურჭულაძემ იღაპარაკა უნივერსიტეტის სამეცნიერო კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისისა და სექტემბრის პლენუმების დადგენილებებიდან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პროფესორმა ი. ტალახაძემ, ეკონომიური ფაკულტეტის პარტიული მდივანმა ი. მუჯირმა, ქიმიური ფაკულტეტის დეკანმა შ. შარაშენიძემ, დოცენტმა ა. ჯორბენაძემ, მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა ლ. გორგილაძემ, ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა ნ. ტყეშელაშვილმა, უნივერსიტეტის პროორექტორმა სამეცნიერო ნაწილში პროფესორმა ს. ელენტმა.

აღსანიშნავია, რომ კამათში მონაწილეობა არ მიუღია არც ერთ სტუდენტს, არც ერთი დელეგატი არ შეხებია აგრეთვე კომკავშირული მუშაობის საკითხს. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს კომკავშირელებთან, სტუდენტებთან მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მეკავანაძემ.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო პარტიული კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში, მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მუშაობის გასაუმჯობესებლად შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი, აირჩია პარტიული კომიტეტის ახალი შემადგენლობა და ორჯონიკიძის რაიონის პარტიული კონფერენციის დელეგატები.

მ. აროშიძე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

1953 წლის 26 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, განიხილა რა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობა ლ. პ. ბერიას, როგორც უცხოეთის კაპიტალის აგენტის, დანაშაულებრივი მოქმედების შესახებ, რომლის მიზანი იყო ძირი გამოეთხარა საბჭოთა სახელმწიფოსათვის, დაადგინა: მოიხსნას ლ. პ. ბერია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტიდან და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიდან და მიცემულ იქნას ბერია სასამართლო პასუხისგებაში. სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ 1953 წლის 8 აგვისტოს დაამტკიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 26 ივნისის ბრძანებულება.

ამჟამად სსრ კავშირის პროკურატურამ დაამთავრა სამშობლოს მოღალატე ლ. პ. ბერიას საქმის გამოძიება.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ბერიამ, იყენებდა რა თავის მდგომარეობას, შეაკოწიწა საბჭოთა სახელმწიფოსადმი მტრული შეთქმულთა მოღალატური ჯგუფი, რომელიც თავის დანაშაულებრივ მიზნად ისახავდა გამოეყენებინა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე, კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის წინააღმდეგ უცხოეთის კაპიტალის ინტერესებისათვის და რომელიც ისწრაფოდა თავისი ვერაგული ზრახვებით შინაგან საქმეთა სამინისტრო დაეყენებინა პარტიასა და მთავრობაზე მაღლა, რათა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება და მოესპო საბჭოთა მუშურ-გლეხური წყობილება კაპიტალიზმის რესტავრაციისა და ბურჟუაზიის ხატონობის აღდგენის მიზნით.

შეთქმულთა მოღალატური ჯგუფის აქტიური მონაწილეები იყვნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის — შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მრავალი წლის ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობით ბერიასთან დაკავშირებული ბრალდებულები: სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი, ხოლო ბოლო დროს სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი ვ. ნ. მერკულოვი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილი უფროსი, ხოლო ბოლო დროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. გ. დეკანოზოვი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ყოფილი მოადგილე, შემდეგ სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე, ხოლო ბოლო დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ. ზ. ქობულოვი, საქართველოს სსრ ყოფილი შინაგან საქმეთა კომისარი, ხოლო ბოლო დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი სამმართველოს უფროსი ს. ა. გოგლიძე, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ერთ-ერთი სამმართველოს ყოფილი უფროსი, ხოლო ბოლო დროს უკრაინის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი პ. ი. მეშიკი და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა საგამომძიებლო ნაწილის ყოფილი უფროსი ლ. ე. ვლოძიმირსკი.

მრავალი წლის განმავლობაში ბერია და მისი თანამზრახველნი გულდასმით ნიღბავდნენ და მალავდნენ თავიანთ მტრულ მოღალატურ საქმიანობას. ი. ბ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როცა რეაქციულმა იმპერიალისტურმა ძალებმა გააქტიურეს ძირგამომთხრელი საქმიანობა საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ბერიამ დაიჩქარა მოქმედება თავისი დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად, უწინარეს ყოვლისა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების გამოყენების გზით ხელისუფლების დასაპყრობად, რის მეოხებითაც მოკლე ხანში გამომჟღავნდა სამშობლოს მოღალატის ნამდვილი სახე და მიღებულ იქნა გადამწყვეტი ზომები მისი მტრული საქმიანობის აღსაკვეთად.

გახდა რა 1953 წლის მარტში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ბერიამ გამალებით დაიწყო შეთქმულთა ჯგუფის მონაწილეების დაწინაურება მთელ რიგ ხელმძღვანელ თანამდებობებზე შინაგან საქმეთა სამინისტროში. შეთქმულნი ავიწროებდნენ და დევნიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს პატიოსან მუშაკებს, რომლებიც უარს ამბობდნენ შეესრულებინათ ბერიას დანაშაულებრივი განკარგულებანი.

საკოლმეურნეო წყობილებისათვის ძირის გამოთხრისა და ჩვენს ქვეყანაში სასურსათო სიძნელეთა შექმნის მიზნით, ბერია ყოველგვარი საშუალებით საბოტაჟს უწევდა, ხელს უშლიდა პარტიისა და მთავრობის იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეურნეობის აღმავლობა, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

აგრეთვე გამორკვეულია, რომ ბერიამ და მისმა თანამონაწილეებმა განახორციელეს დანაშაულებრივი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გამოეცოცხლებინათ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების ნაშთები მოკავშირე რესპუბლიკებში, დაეთესათ მტრობა და განხეთქილება სსრ კავშირის ხალხებს შორის და უწინარეს ყოვლისა ძირი გამოეთხარათ დიდ რუს ხალხთან სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისათვის.

ბერია და მისი თანამზრახველები, რომლებსაც სსრ კავშირში არ ჰქონდათ რაიმე სოციალური დასაყრდენი, თავიანთ დანაშაულებრივ ვარაუდებს ამყარებდნენ იმაზე, რომ შეთქმულებას მხარს დაუჭერდნენ რეაქციული იმპერიალისტური ძალები საზღვარგარეთიდან.

როგორც ახლა გამოძიებით გამორკვა, ბერიამ და მისმა თანამზრახველებმა ჩაიდინეს მთელი რიგი მოღალატური აქტები, ცდილობდნენ რა შეესუსტებინათ საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობა.

გამოძიების მასალებით დამტკიცებულია, რომ შეთქმულთა ჯგუფის მონაწილეებმა—ბრალდებულებმა მერკულოვმა, დეკანოზოვმა, ქობულოვმა, გოგლიძემ, მეშიკმა და ვლოძიმირსკიმ, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ ბერიასთან მრავალი წლის ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობით, ასრულებდნენ რა ბერიას ყოველ დანაშაულებრივ დავალებას, ეხმარებოდნენ რა მას დაეფარა და შეენიღბა თავისი დანაშაულებრივი წარსული, ჩაიდინეს ზემოთაღნიშნული მთელი რიგი უმძიმესი სახელმწიფო დანაშაულობანი.

ამრიგად, გამორკვეულია, რომ ბრალდებულები ბერია, მერკულოვი, დეკანოზოვი, ქობულოვი, გოგლიძე, მეშიკი და ვლოძიმირსკი, რომლებმაც უღალატეს სამშობლოს, მოქმედებდნენ როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტურა, როგორც საბჭოთა ხალხის უბოროტესი მტრები.

გამოძიებით გამორკვეულია აგრეთვე ბერიას მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულებათა ფაქტები, რომლებიც მოწმობენ მის დიდ მორალურ დაცემას, და, გარდა ამისა, ბერიას მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ანგარებითი მოქმედებისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტები.

მხილებულ იქნენ რა გამოძიებაზე მრავალი მოწმის ჩვენებით და ნამდვილი დოკუმენტალური მონაცემებით, ბრალდებულებმა თავი დამნაშავედ ცნეს მთელ რიგ უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულობათა ჩადენაში.

ბერია მიცემულია სამართალში, ბრალად ედება რა სამშობლოს ღალატი, ანტისაბჭოთა შეთქმულების მოწყობა, ტერორისტული აქტების ჩადენა, აქტიური ბრძოლა მუშათა კლასისა და რევოლუციური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, რაც მან გამოიჩინა საიდუმლო-აგენტურულ თანამდებობაზე კონტრრევოლუციური მუსავატისტური მთავრობის დაზვერვის ორგანოებში სამოქალაქო ომის პერიოდში, ე. ი. დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“, 58-8, 58-13, 58-11 მუხლებით.

მერკულოვი, დეკანოზოვი, ქობულოვი, გოგლიძე, მეშიკი და ვლოძიმირსკი მიცემული არიან სამართალში, ბრალად ედებათ რა სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტების ჩადენა და შეთქმულთა კონტრრევოლუციურ, მოღალატურ ჯგუფში მონაწილეობა, ესე იგი დანაშაულობანი, რომლებიც გათვალისწინებულია რუსეთის სფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-1 „ბ“, 58-8, 58-11 მუხლებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად, საქმე ბერიას, მერკულოვის, დეკანოზოვის, ქობულოვის, გოგლიძის, მეშიკისა და ვლოძიმირსკის ბრალდების შესახებ განხილულ უნდა იქნას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სპეციალური სასამართლო საკრებულოს მიერ იმ წესით, რომელიც დადგენილია 1934 წლის 1 დეკემბრის კანონით.

ᲐᲚᲛᲝᲕᲤᲮᲕᲠᲐᲗ ᲖᲔᲠᲔᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

გარდაბნის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე

გარდაბნის რაიონის პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი გამოავლინა რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობაში. როგორც მომხსენებელმა — რაიკომის მდივანმა ამხ. მ. გასანოვმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების გადაუდებელი ამოცანების გადასაწყვეტად. ჯერ კიდევ ნაკლები ყურადღება ექცევა მებოსტნეობას და კარტოფილის მოყვანას. ნელი ტემპით მიმდინარეობს სათბურის ჩარჩოების შეკეთება და ნაკელის შემოზიდვა ნეშომპალიანი ქოთნებისათვის.

მეტწილ კოლმეურნეობებში უყურადღებოდ ეკიდებიან სოფლის მეურნეობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებს, როგორიც არის მებაღეობა და მევენახეობა. საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის გეგმა რაიონში შესრულებულია მხოლოდ 85 პროცენტით. ძალზე დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. ერთ საფურაქე ძროხაზე წელს მიღებულია საშუალოდ 426 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 890 ლიტრისა. რაიონის კოლმეურნეობები ცუდად მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის შეუსრულებლობა იმის შედეგიც არის, რომ რაიონში სუსტად არის დაყენებული მასობრივ პოლიტიკური მუშაობა. ბევრ კოლმეურნეობაში შრომა მოუწესრიგებელია. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასა და გაერცელებას ყურადღება არ ექცევა.

საანგარიშო მოხსენებაში მცირე ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის საკითხებს. მართალია, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ, უნარიანად ვერ იყენებენ პარტიული კონტროლის უფლებას, არ ეწევიან სათანადო მასობრივ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობას, მაგრამ მარტო ამ განცხადებით დაკმაყოფილდა და ღრმა ანალიზი არ გაუკეთა ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს. ამასთან საანგარიშო მოხსენებაში პარტიული მუშაობის საკითხები წარმოდგენილი იყო რაიონის წინაშე მდგომი ახალი სამეურნეო ამოცანებისაგან მოწყვეტით. მოხსენებაში არაფერი იყო ნათქვამი რაიკომის აპარატის მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ, კერძოდ იმაზე, რომ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, მათ შორის რაიკომის მდივნები ამხ. ქსოვრელი და გასანოვი იშვიათად გამოდიოდნენ მასების წინაშე პოლიტიკური მოხსენებებით.

გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამმართველოს უფროსმა ამხ. კ. სევასტოვმა აღნიშნა, რომ პარტიის გარდაბნის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი სოფლის მეურნეობას ხელმძღვანელობენ ზერელედ, დეკლარაციული მეთოდებით. მათ ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად.

კამათში გამოსულთა უმეტესმა ნაწილმა ბევრი ილაპარაკა სამეურნეო საკითხებზე, მაგრამ არაფერი უთქვამს პარტიული მუშაობის შესახებ.

არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე მუშაობის გარდასაქმნელად კონფერენციამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

* * *

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი. პლენუმმა პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. დეკანაზარიანი, რაიკომის მდივნად მტს-ების დარგში ამხ. მ. გასანოვი და ამხ. ს. ტულჩინი.

გ. გელაშვილი,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების VII ყრილობა

გაიმართა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების VII ყრილობა.

საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ამხ. ა. ხელიძემ.

საანგარიშო პერიოდში — ექვსი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა წითელი ჯვრის საზოგადოების წევრთა და პირველადი ორგანიზაციების რიცხვი. პირველადი ორგანიზაციები შეიქმნა რესპუბლიკის საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში. 1947 წელთან შედარებით პირველადი ორგანიზაციების რიცხვი გაიზარდა 13,3 პროცენტით, ხოლო საზოგადოების წევრთა რიცხვი — 38,1 პროცენტით.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ მნიშვნელოვანი მუშაობა გაწია რესპუბლიკის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესებისა და აგრეთვე მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა შორის სანიტარული განათლების მოწყობის საქმეში.

როგორც მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს საზოგადოების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. საჭიროა გაძლიერდეს სანიტარულ-პროფილაქტიკური მუშაობა, მეტი დახმარება გაეწიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს. ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლაში, სანიტარული კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის ბრძოლაში საზოგადოება ჯეროვნად ვერ იყენებს აქტივს, ზოგიერთ სანიტარულ საგუშაგოს და რაზმს არ აქვს საჭირო ნივთები, ზოგან სუსტად მუშაობენ ლექტორთა ჯგუფები და სხვ.

ყრილობამ აირჩია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და აგრეთვე საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრის საზოგადოების III ყრილობის დელეგატები.

* * *

გაიმართა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია ა. ხელიძე, საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ — ე. ჩუბინიშვილი. (საქდესი).

ეკონომიკის საკითხებზე

ხის გადამმუშავებელი მრეწველობის ახალი, მძლავრი რეზერვი

პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული დიდი ამოცანის შესრულების უზრუნველსაყოფად — უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში შეექმნათ ფართო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვე, მივაღწიოთ საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის მძლავრ აღმავლობას, — საჭიროა მრეწველობის მუშაკებმა, განსაკუთრებით ნედლეულის გადამმუშავებელი საწარმოების მუშაკებმა, მეტი ყურადღება მიაქციონ მრეწველობის შინაგანი რესურსების გამოვლინებას, მათს გამოყენებას და ამასთან დანაკარგების აღმოფხვრას.

ეს ერთ-ერთი ნაკადი გზაა პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირების მისაღწევად. ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში ამ მხრივ მრავალი საყურადღებო გამოცდილება აქვთ. სამწუხაროდ, ამ გამოცდილების პოპულარიზაციას, საჯაროობას ჯერ კიდევ არ ეძლევა ჯეროვანი ყურადღება და ამიტომ ცალკე საწარმოთა მიღწევები ახალი რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში ხშირად ამავე საწარმოს ვიწრო ჩარჩოში რჩება. ცნობილია, რომ პროდუქციის თვითღირებულებაზე გავლენას ახდენს ნედლეულის გადამუშავების მეთოდი და ამ ნედლეულის გამოყენების სისრულე. რაც უფრო გაუმჯობესებულია ნედლეულის გამოყენების ტექნოლოგია, რაც უფრო გამარტივებული და მექანიზებულია შრომა, მით უფრო ნაკლები რაოდენობით არის ნედლეულის ნარჩენები, მით უფრო იაფია ამ ნედლეულისაგან მიღებული პროდუქცია.

ხის გადასამუშავებელ მრეწველობაში საერთოდ აუარებელი ნარჩენები გვაქვს — ნახერხი, ბურბუშელა, ნაფოტები, პატარა ნაჭრები. ყოველივე ეს დღემდე დანაკარგებში მიდიოდა და ხშირად საწარმოს ტერიტორიიდან მათ მოსაშორებლად საწარმოთა ხელმძღვანელებს გარკვეული შრომისა და ხარჯის გაწევაც სჭირდებათ. ამავე დროს მერქნის გადამუშავებისას მიღებული ეს ნარჩენები წარმოადგენენ მნიშვნელოვან რეზერვს, თუ მათ მიზანშეწონილად და თადარიგიანად გამოვიყენებთ.

საქართველოს ხის გადამმუშავებელ საწარმოებში ამ ნარჩენების გამოყენების საქმე ჯეროვნად არ არის მოწყობილი, თუმცა ცნობილია, რომ ასეთი ნარჩენების გამოყენების ერთ-ერთი რაციონალური მეთოდია მათი დაბრიკეტება. დაბრიკეტება შეიძლება როგორც ნახერხისა, ისე სხვა ნარჩენებისა.

დაბრიკეტებული ნარჩენები წარმოადგენენ შეშის სამაგიერო საუკეთესო საწვავ მასალას. მათი ტრანსპორტირება მეტად გაადვილებულია, შენახვაც უფრო მოსახერხებელი. ბრიკეტების გამოყენება შეიძლება აგრეთვე როგორც სართულთაშორისი საიზოლაციო მასალისა, ქაღალდის მრეწველობაში გამოსაყენებელი ნედლეულისა, ხოლო თუ დაბრიკეტება მაღალხარისხოვნად მოახდინეს, ასეთი ბრიკეტებისაგან შეიძლება ზოგი სახის საოჯახო ავეჯის დამზადებაც.

ჩვენში გაჯის წარმოებაში უამრავ ძვირფას საწვავს იყენებენ. მერქნის ნარჩენებისაგან დამზადებული ბრიკეტები კი დიდი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ გაჯის გამოსაწვავ ღუმელებში.

რუსთავის ხის გადასამუშავებელ კომბინატში მოახდინეს მერქნის ნარჩენების დაბრიკეტება და ამ ბრიკეტების საცდელად გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებისათვის. ცდებმა საუკეთესო შედეგები მოგვცა. აღმოჩნდა, რომ ბრიკეტის დამზადება ღია მატრიცებში შესაძლებელია მინარევების გამოუყენებლად.

მოსკოვისა და საბჭოთა კავშირის მთელი რიგი სამრეწველო რაიონების ხის გადასამუშავებელ საწარმოებში მერქნის ნარჩენებს ჰორიზონტალური წნეხებით აბრიკეტებენ. რუსთავში ამავე დანიშნულებისათვის ინჟინერმა ნ. გაგოშიძემ გამოიყენა ვერტიკალური წნეხი, რომელმაც მაღალი სიმკვრივის ბრიკეტები მოგვცა.

ამჟამად რუსთავის ხის გადასამუშავებელ კომბინატთან აწყობენ სპეციალურ საამქროს, სადაც იწარმოებს მერქნის ნარჩენების მექანიზებულად დაბრიკეტება. ეს საამქრო სავსებით აითვისებს იმ დიდი რაოდენობის ნარჩენებს, რაც ამ კომბინატში გროვდება. გადაწყვეტილია ეს ბრიკეტები პირველ რიგში გამოყენებულ იქნას გაჯის წარმოებაში შეშის ნაცვლად, რაც წარმოებას საგრძნობ ეკონომიას მისცემს.

საჭიროა მერქნის ნარჩენთა დაბრიკეტების დარგში რუსთავში მიღებული გამოცდილებით ისარგებლონ რესპუბლიკის ხის გადასამუშავებელ ყველა საწარმოში.

ფ. დემეტრაშვილი,
ამიერკავკასიის მეტალურგმშენის მთავარი ტექნოლოგის განყოფილების უფროსი ინჟინერი.

ჩოხატაურის რაიონში

დაბის კეთილმოწყობა

ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ჩოხატაურის კეთილმოწყობა. დამთავრდა ახალი საკოლმეურნეო ბაზრის მშენებლობა. დაბაში გაიხსნა სამრეწველო საქონლისა და თევზეულის მაღაზიები, სახადილო, ხილ-ბოსტნეულის კიოსკები. დამთავრდა ახალი ორსართულიანი კაპიტალური სახლის მშენებლობა, რომელშიც გაიხსნა კეთილმოწყობილი სასურსათო მაღაზია, სახმაწყის ჩოხატაურის რაიგანყოფილება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაბის გამწვანებას.

მეაბრეშუმეთა წარმატება

რაიონის მეაბრეშუმეებმა წარმატებით დამთავრეს მიმდინარე წელი. ნაცვლად 106 ათასი კილოგრამი პარკისა სახელმწიფოს ჩაბარდა 111.584 კილოგრამი. გეგმის შესრულებაში თავი ისახელეს ჩოხატაურის, შუაგანახლების, ნაბეღლავის, შუახურების, ერკეთის, ქვენობნისა და ზემოხეთის კოლმეურნეო მეაბრეშუმეებმა.

მეცხოველეობა, მეფრინველეობა

დიდი ყურადღება ეძლევა რაიონში მეცხოველეობის განვითარებას. გადაჯარბებით არის შესრულებული სილოსის ჩადების გეგმა. რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობაში დამთავრებულია პირუტყვისა და ფრინველის ბინების მშენებლობა. ახალი ბინები აშენეს ზომლეთის, ვანის, გორაბერეყოფილისა და ჩოხატაურის კოლმეურნეობებში. თვითეული მათგანი 80-100 სულ პირუტყვს იტევს.

სამრეწველო კომბინატში

რაიონის სამრეწველო კომბინატის საამქროთა უმრავლესობა გადაჯარბებით ასრულებს გეგმებს. მათ შორის განსაკუთრებით გამორჩეულ ავტოტექმომსახურების სახელოსნო. კომბინატის საამქროებში განსაკუთრებული ყურადღება ეძლევა შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. ეს განსაკუთრებით ითქმის ლიმონათისა და მინერალურ-სამკურნალო წყლის „ნაბეღლავის“ ჩამომსხმელ საამქროებზე. წელს მთლიანად მექანიზებულ იქნა კომბინატის აგურ-კრამიტის საამქრო, რომელიც მომავალი წლიდან ნახევარ მილიონ აგურს გამოუშვებს.

გ. ახალაია.

გულგარელ და ქართველ მოსწავლეთა მიწერ-მოწერა

თბილისის № 11 სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელში ბულგარეთიდან მიიღეს ამანათი. ბულგარეთის ქალაქ ტრევნის ხისდამუშაკებელ ოსტატთა მოსამზადებელი ტექნიკუმის მოსწავლეებმა თბილისელებს გამოუგზავნეს ფოტოსურათების ალბომი, რომლებიც ასახავენ მათ ცხოვრებასა და სწავლას.

თბილისელი ამხანაგებისადმი წერილში ბულგარელი მოსწავლეები დაწვრილებით უამბობენ მათ თავიანთ მშობლიურ ქალაქზე, რომელიც ძველთაგანვე განთქმული იყო ხის ჩუქურთმისა და კედლის ფერწერის შესანიშნავი ოსტატობით. ტრევნა პოეტ პენჩო სლავეიკოვის სამშობლო ქალაქია. აქ დაიბადა და იზრდებოდა გამოჩენილი რევოლუციონერი ანგელ კინჩევი. ამ უკანასკნელ წლებში ტრევნა გადაიქცა ინდუსტრიულ ქალაქად, სადაც გაშენდა მსუბუქი მრეწველობის დიდი საწარმოები.

ბულგარელი მოსწავლეები მადლობას უთვლიან თბილისელ მეგობრებს საჩუქრებისა და წერილებისათვის, რომლებიც მათ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს, სთხოვენ უფრო ხშირად გაუზიარონ მუშაობის გამოცდილება, უამბონ წარმატებებზე სწავლაში.

— ჩვენ ბედნიერი ვართ, — წერენ ბულგარელი მოსწავლეები, — რომ ვცხოვრობთ თავისუფალ ქვეყანაში, რომელიც საბჭოთა კავშირის დახმარებით მტკიცედ მიდის წინ სოციალიზმის გზით. (საქდესი).

პაკისტანი ამერიკის აგრესიულ გეგმებში

უკანასკნელ თვეებში მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ობიექტი გახდა და საერთაშორისო ამბების ცენტრში მოექცა პაკისტანი, რომელიც საბჭოთა კავშირის საზღვრის მახლობლად მდებარეობს.

როგორც ცნობილია, 1947 წელს ბრიტანეთმა თავისი კოლონია ინდოეთი დაჰყო მთელ რიგ სამთავროებად და ორ დომინიონად. ეს დომინიონებია საკუთრივ ინდოეთი და პაკისტანი (1950 წელს ინდოეთი გამოცხადდა რესპუბლიკად. 1953 წლის 2 ნოემბერს პაკისტანს ეწოდა ისლამური რესპუბლიკა პაკისტანი). ამასთან ინდოეთს მბეკუთვნა მთელი სამრეწველო რაიონები, ხოლო პაკისტანს ხვდა სამნახევარჯერ ნაკლები ტერიტორია, სადაც მრეწველობა სუსტად არის განვითარებული.

პაკისტანი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც ერთიმეორეს დაშორებულია 1.500 კილომეტრით. დასავლეთ პაკისტანში შედის პროვინციები: სინდი, ბელუჯისტანი, პენჯაბი, ხოლო აღმოსავლეთ პაკისტანში — თითქმის მთელი ბენგალია და ასამის ნაწილი. პაკისტანის ფართობი 940 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, მცხოვრებთა რიცხვი — 76 მილიონს. დედაქალაქია კარაჩი — უდიდესი ნავსადგური მდინარე ინდოსის შესართავთან.

პაკისტანი ღარაბია წიაღისეული სიმდიდრეებით, ხოლო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე ინდოეთი. პაკისტანი ბრინჯის მსოფლიო მწარმოებელია (120 მილიონა ცენტნერი წლიურად). აქ დიდი რაოდენობით მოჰყავთ გრძელბოჭკოიანი ბამბა, ჩაი, შაქრის ლერწამი, ჯუტი (მსოფლიო პროდუქციის 90 პროცენტი), ზეთოვანი კულტურები (არახისა, ქუნჯუთი) და სხვ. სამაგიეროდ მეტად ჩამორჩენილია მრეწველობა. პაკისტანს არა აქვს საწვავ-სათბობი, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა. მისი მრეწველობა წარმოდგენილია უმთავრესად წვრილი საფეიქრო და კვების საწარმოებით. თუ ჯუტის პლანტაციები ძირითადად პაკისტანშია, სამაგიეროდ ჯუტის საწარმოები უმთავრესად ინდოეთის ტერიტორიაზეა. უფრო მეტიც, აღმოსავლეთ პაკისტანიდან ჩაი, ჯუტი, ბამბა და ბრინჯი ინდოეთის ნავსადგურებით კალკუტით, ბოურახით, ჩანდერნაგორით გაიქვეთ.

პაკისტანს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა აქვს. დასავლეთ პაკისტანი უშუალოდ ესაზღვრება ირანსა და ავღანეთს, რაც ამერიკელებისათვის თურქეთთან ერთად შეადგენს „შუა აღმოსავლეთას ბლოკის“ ერთიან ხაზს. ჩრდილოეთით პაკისტანი უახლოვდება (სამთავრო ქაშმირთან ერთად) საბჭოთა კავშირის საზღვრებს. მას ამ უკანასკნელიდან ჰყოფს ავღანეთის ტერიტორიის ვიწრო ზოლი — 10-25 კილომეტრი სიგანისა. საბჭოთა თურქმენეთისა და საბჭოთა ტაჯიკეთის ახლოს მდებარეობს დასავლეთ პაკისტანის ჩრდილო ნაწილისაგან შექმნილი სპეციალური საზღვრო პროვინცია (ცენტრი ქალაქი პეშავერი), რომელსაც ამერიკელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, ცდილობენ გამოიყენონ იგი პლაცდარმად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ქაშმირის სამთავროთი (რომლის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილი პაკისტანის გავლენის სფეროს წარმოადგენს) პაკისტანი უშუალოდ ესაზღვრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, კერძოდ ტიბეტსა და სინძიანს. აღმოსავლეთი პაკისტანი ორასამდე კილომეტრით არის დაშორებული ჩინეთის რესპუბლიკის საზღვრებს (კერძოდ ტიბეტს). 6 ნოემბერს გაზეთი „ნიუიორკ ტაიმსი“ წერდა, რომ „პაკისტანს დიდმნიშვნელოვანი სამხედრო პოტენცია აქვს. იგი მუსლიმანურ ქვეყნებს შორის ყველაზე მჭიდროდ არის დასახლებული. პაკისტანს აქვს ძველი საბრძოლო ტრადიციები“. ამერიკული ჟურნალი „ნიუსუიკი“, ხაზს უსვამს რა პაკისტანის სტრატეგიულ მნიშვნელობას, აღნიშნავს: „თურქეთსა და ირანს საბჭოთა კავშირთან საერთო საზღვრები აქვთ. პაკისტანი მდებარეობს უშუალოდ რუსეთის სახელმწიფოს მახლობლად, ჰაიბერის გადასასვლელის გადალმა... პაკისტანი შეიძლება სწრაფად გადავაქციოთ ბასტიონად, რომელიც არ ჩამოუვარდება თურქეთს. შუა აღმოსავლეთში თავდაცვის ამ ხაზზე სუსტ ადგილს წარმოადგენს ირანი... მაგრამ თუ მის ფლანგებზე იქნებიან ძლიერი თურქეთი და ძლიერი პაკისტანი, მაშინ ამ ქვეყნების ჯარებს, საჭიროების შემთხვევაში, სწრაფად შეუძლიათ გაძლიერონ ირანელები. ამრიგად, პაკისტანი შეასრულებდა თავის ისტორიულ როლს“.

ამერიკელებმა პაკისტანთან „მეგობრობა“ იმით დაიწყეს, რომ მათ გაუგზავნეს „საჩუქრად ხორბალი“, რასაც მოჰყვა მოლაპარაკება სამხედრო კავშირის შესახებ. ამერიკელი ექსპერტების მთელი არმია მოვიდა პაკისტანს. ნოემბერში პაკისტანი მოიარა ამერიკელმა ელჩმა ჰილდრეტმა, ანკარაზე გავლით ვაშინგტონს ეწვია პაკისტანის არმიის მთავარსარდალი გენერალი აიუბ-ხანი და პაკისტანის თავდაცვის სამინისტროს მდივანი ისკანდერ მირზა, შემდეგ კი თვით პაკისტანის გენერალ-გუბერნატორი გულამ მოჰამედი. მოლაპარაკების მთავარი მიზანი იყო პაკისტან-ირან-თურქეთის სამხედრო ბლოკის შექმნა შუა აღმოსავლეთში.

ამერიკული პრესა არ მალავს იმას, რომ პაკისტანში ხამხედრო ბაზების მშენებლობა, მიმართული საბჭოთა კავშირის ინტერესების წინააღმდეგ, ამერიკელ-ინგლისელ ბანკირთა ინტერესებიც, ამერიკელ-ინგლისელ ბანკირთა ინტერესებიც, ინდოეთის ინტერესებიც, ინდოეთის ინტერესებიც, ინდოეთის

საბჭოთა კავშირისათვის ფინეთში აგებული ყინულმჭრელის წყალში ჩაშვების ცერემონია

ჰელსინკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ჰელსინკში კონცერნ „ვიარტსილის“ კუთვნილ ჰიეტალაჰტის გემსაშენში საზეიმო ვითარებაში მოეწყო იმ ყინულმჭრელის წყალში ჩაშვება, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის აშენდა. ცერემონიას დაესწრნენ ფინეთის პრემიერ-მინისტრი ტუომიოია, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი აურა, ფინეთის დესპანი სსრ კავშირში ო. ჰარტეი, საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები და კონცერნის ხელმძღვანელობა.

ზეიმს დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი, სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრის მოადგილე ვ. მ. პტაშნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ნ. ი. ჩეკლინი და მ. კ. არტემიევი, სსრ კავშირის დესპანი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ფინეთში ა. ი. სოსულნოვი, საბჭოთა მისიისა და სავაჭრო წარმომადგენლობის პასუხისმგებელი თანამშრომლები და სხვა პირები.

ყინულმჭრელის წყალში ჩაშვების შემდეგ დამსწრეთ მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონცერნ „ვიატსილის“ მთავარმა დირექტორმა ვალფორსმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ დაკვეთილ სამ დიდ ყინულმჭრელში ერთ-ერთის წყალში ჩაშვება ღირსშესანიშნავი მოვლენაა ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვაჭრობისათვის.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ი. გ. კაბანოვი. მან თქვა:

ბატონო პრემიერ-მინისტრო!

ბატონებო!

დღეს ჩვენ ვესწრებით საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთში დაკვეთილი ერთ-ერთი დიდი გემის — ყინულმჭრელის წყალში ჩაშვებას.

მე სიამოვნებით მივიღე ფინეთის მთავრობის მოწვევა ჩამოვსულიყავი ამ შემთხვევის გამო ჰელსინკში, რადგან მხედველობაში მაქვს, რომ ეს ხელს შეუწყობს ფინეთსა და სსრ კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, რითაც დაინტერესებულია ორივე ჩვენი ქვეყანა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ ამას წინათ მოსკოვში ხელმოწერილი შეთანხმება 1954 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის შემდგომ გადიდებას.

ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების 3 წლის მოქმედების მანძილზე საბჭოთა კავშირის დაკვეთები ფინეთში გემებსა და მოწყობილობაზე

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის გამოსვლა

მნიშვნელოვნად გადიდდა. 1953 წელს გემებისა და მოწყობილობის მიწოდების მოცულობა 1951 წელთან შედარებით გაიზარდა ერთისამად და 1954 წელს დასახულია სსრ კავშირისათვის გემებისა და მოწყობილობის მიწოდების შემდგომი ზრდა. საბჭოთა კავშირი ფინეთის სტანდარტული სახლთმშენებლობის მრეწველობის მიერ დამზადებული სტანდარტული სახლების ძირითადი მყიდველია, მნიშვნელოვანი რაოდენობით ყიდულობს აგრეთვე დახერხილ ხე-ტყის მასალებს, ბალანსებს, ქაღალდს, მუყაოსა და ცელულოზას, რაც ფინეთის ტრადიციული საექსპორტო საქონელია.

ფინეთის საქონლის ასანაზღაურებლად საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვანი რაოდენობით აწვდის მარცვლეულს, შაქარს, ნავთობპროდუქტებს, ბრინჯს, ბამბას. საბჭოთა კავშირი აწვდის აგრეთვე სასუქებს, ლითონებს, კოპტონს, სელის ზეთს, ანტრაციტს, ავტომანქანებს, ქიმიკატებს, საღებრებს.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობა ჯერ კიდევ სრულიადაც არ ამოწურულა. საბჭოთა კავშირს შეუძლია გადასცეს ფინეთს სხვადასხვა გემების: ყინულმჭრელების, ტანკერების, მშრალი ტვირთისა და თევზსაჭერი გემების, ლიხტერების, ბუქსირების, მცურავი ამწეების მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის დაკვეთები, აგრეთვე გადიდოს ლითონდამშუშავებელი მრეწველობის ნაწარმის შესყიდვა. არის აგრეთვე შესაძლებლობა გადიდოს მთელი რიგი სხვა ისეთი საქონლის შესყიდვა, რომელიც ფინეთის ექსპორტის ძირითადი საქონელია.

მაგალითად, 1954 წელს ჩვენ ფინეთში შევისყიდით მეტ ქაღალდს, ვიდრე 1953 წელს, ხოლო 1955 წელს ქაღალდის შესყიდვის მოცულობა შეიძლება გაიზარდოს 1,5-2-ჯერ 1954 წელთან შედარებით.

თავისთავად იგულისხმება, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ფინეთის საქონლის შესყიდვის გადიდება დაკავშირებულია ფინეთის მიერ საბჭოთა საქონლის შესყიდვის მოცულობასთან. საბჭოთა კავშირი ისეთ საქონელთან ერთად, როგორიც არის მარცვლეული, ნავთობპროდუქტები, შაქარი, მზად არის მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობით მიაწოდოს ფინეთს ბევრი სხვა საქონელი, რომლის იმპორტსაც იგი ეწევა, კერძოდ ბამბა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სამთამადნო და საგზაო მოწყობილობა, ტრაქტორები, ჩარხები და ავტომობილები.

ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის შემდგომი განვითარება, ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს ფინეთის და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას. ეს ურთიერთობა იქმნება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ბაზაზე, ხელშეკრულებისა, რომელსაც, ვიმედოვნებთ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ორივე ქვეყანა — როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ფინეთი. მე ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რათა ხაზგასმით აღვნიშნო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ამ ხელშეკრულების მთელი მნიშვნელობა, როგორც ბაზისა კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის ჩვენს ქვეყნებს შორის, რომლებიც დაინტერესებული არიან მშვიდობის და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებით.

როგორც ცნობილია, ორი წლის შემდეგ მთავრდება საბჭოთა კავშირ-ფინეთის ხუთწლიანი სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადა. ჩვენ უნდა დავდოთ ახალი გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება. საბჭოთა მთავრობამ მიიღო ფინეთის მთავრობის წინადადება — დაიწყოს მოლაპარაკება ასეთი შეთანხმების დადების შესახებ. მე რწმენას გამოვთქვამ, რომ ამ შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება, რაც უახლოეს დროში დაიწყება, წარმატებით დამთავრდება. ეს შეთანხმება უზრუნველყოფს ორივე ქვეყანას შორის ვაჭრობის შემდგომ გადიდებას ურთიერთ ხელსაყრელ საფუძველზე და ხანგრძლივი ვადით, შექმნის ხელსაყრელ პირობებს ფინეთის მრეწველობის ყველა ძირითადი დარგის და მათ შორის გემთმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის და საშუალებას მისცემს ფინეთს წინასწარვე უზრუნველყოს თავისი პროდუქციის მტაცეი, გარანტირებული გასაღება. ახლანდელ პირობებში მრეწველობის პროდუქციის უზრუნველყოფილ, საიმედოდ გარანტირებულ გასაღებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკისათვის, წარმოებაში მომუშავე ადამიანებისათვის.

რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიური ურთიერთობის ასეთი ურთიერთ ხელსაყრელი განვითარება შესაძლებელია იმ პირობით, თუ ორივე მხარე ესწრაფვის ამას.

მე გამოვთქვამ მადლობას ფინეთის მთავრობისადმი, რომელმაც მოგვიწვია ჩვენ, საბჭოთა წარმომადგენლები, რათა დავესწროთ როგორც სტუმრები ამ ზეიმს, და, ჩვენი მხრივ, მინდა ვთქვა, რომ ფინელი ხალხი მუდამ ჰპოვებს საბჭოთა კავშირის მხარდაჭერას ჩვენს ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარების საქმეში.

ამსტერდამის გურგომისტრმა დარბაზობა გამართა საბჭოთა თბილმავლის ეკიპაჟის პატივსაცემად

ჰაააგა, 15 დეკემბერი. (საკდესი). ამსტერდამის ნავსადგურში საბჭოთა თბომავალ „პიარნუს“ ჩასვლასთან დაკავშირებით ამსტერდამის ბურგომისტრმა დ'აიმ ქალაქის რატუშაში დარბაზობა გამართა საბჭოთა მეზღვაურების პატივსაცემად. თავის სიტყვაში ბურგომისტრმა დ'აიმ იმედი გამოთქვა, რომ ამიერიდან საბჭოთა კავშირსა და ჰოლანდიას შორის სავაჭრო ურთიერთობა გაფართოვდება. საბჭოთა მეზღვაურებს მიესალმნენ აგრეთვე ამსტერდამის ნავსადგურის ეკსპლოატაციის საზოგადოების თავმჯდომარე დე ბური და ამსტერდამის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი. თავის საპასუხო სიტყვაში თბომავალ „პიარნუს“ კაპიტანმა ნ. ა. ზაგინაიკომ მადლობა გადაუხადა ქალაქის ხელისუფალთ გულთბილი მიღებისათვის.

ამერიკის ახალი ზეგავლენა საფრანგეთზე

დაღესის განცხადება პრეს-კონფერენციაზე პარიზში

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტომ გუშინ გადმოგცა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფოსტერ დალესმა პარიზში მოიწვია პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 300 ჟურნალისტი. როგორც სააგენტოს ცნობიდან ჩანს, პრეს-კონფერენციის მიზანია ახალი ზეგავლენა მოახდინონ საფრანგეთზე და მიაღწიონ იმას, რომ საფრანგეთმა დაამტკიცოს ხელშეკრულება ეგრეთწოდებული „ევროპის არმიისა“ და დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ.

როგორც ფრანს პრესი იუწყება, „შეერთებული შტატები, — განაცხადა დალესმა, — გულწრფელად იმედოვნებენ, რომ ევროპის თავდაცვითი გაერთიანება მალე რეალობა გახდება, წინაღმდეგ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდებოდნენ მოეხდინათ „თავიანთი ახლანდელი პოლიტიკის ტრაგიკული და ძირეული გადასინჯვა“.

სააგენტოს ცნობიდან აგრეთვე ჩანს, რომ დალესი ცდილობს გაგრძელდეს ომი ინდოჩინეთში.

როგორც ფრანს პრესი გადმოგცემს, „დალესმა განმარტა, რომ საფრანგეთმა კიდევაც რომ არ დაამტკიცოს ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ, შეერთებული შტატები 1954 წლის მანძილზე კვლავ გაუწევენ მას დახმარებას, რაც გათვალისწინებულია ინდოჩინეთთან დაკავშირებთან“.

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო გადმოგცემს, რომ „ამერიკის სახელმწიფო მდივნის ჯონ ფოსტერ დალესის განცხადება პრეს-კონფერენციაზე საფრანგეთის წრეებში მიიღეს როგორც იმის ცდა, რომ ზეგავლენა მოახდინონ საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრზე. ამ წრეებში აგრეთვე აღნიშნავდნენ, რომ დალესი პირდაპირ იმუქრებოდა, თუ ხელშეკრულება ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ 6 თვეში არ დამტკიცდა, ამერიკა ავტომატურად სანახევროდ შეამცირებს ევროპისადმი დახმარებასო.

ამ წრეებში იმასაც ფიქრობენ, რომ დალესის ფრიად აშკარა განცხადებამ, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებზე. შესაძლოა ამ განცხადებამ გააძლიროს პარლამენტის იმ წევრთა გადაწყვეტილება, რომელნიც გამოდიან ევროპის თავდაცვითი გაერთიანების წინააღმდეგ, ხმა მისცენ მხოლოდ

საფრანგეთის საზოგადოებრიობის აღშფოთება

იმ კანდიდატს, რომელიც პირადად მტრულად არის განწყობილი ევროპის პოლიტიკისადმი“ (ე. ი. ეგრეთწოდებული „ევროპის გაერთიანებისადმი“. — **რედ.**).

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღევანდელი დილის გაზეთები აღნიშნავენ, რომ გუშინ პრეს-კონფერენციაზე მეტად უხეშად ილაპარაკა დალესმა, რომელმაც მოითხოვა პარიზის ხელშეკრულების რატიფიკაცია. მეტი წილი გაზეთები აღშფოთებას გამოთქვამენ ამ უხეში მოთხოვნისა და საფრანგეთის მიმართ იმ მუქარის გამო, რომელსაც მისი სიტყვა შეიცავდა.

გაზეთი „ფრან-ტირერი“ აღნიშნავს, რომ „მოკავშირეთა და მეგობართა შორის არასოდეს არ ჰქონია წარმატება მაგიდაზე მუშტის ცემის დიპლომატიას“. „დაივიწყა რა ეს, — წერს გაზეთი, — ჯონ ფოსტერ დალესმა გუშინ ხელიდან გაუშვა იმის მშვენიერი შემთხვევა, რომ ჩუმად ყოფილიყო“. „ფრან-ტირერი“ აღნიშნავს, რომ დალესის სიტყვა, რომელიც შეიცავს „ეზეუ გაფრთხილებასა და მუქარას, ალბათ, იმის შედეგია, რომ კვირას იგი კანცლერ ადენაუერს შეხვდა“.

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ბონიდან იუწყება:

მთავრობასთან (დასავლეთ გერმანიის მთავრობასთან. — **რედ.**) ახლოსმდგომ წრეებში აღნიშნავენ, რომ განცხადებანი, რომლებიც პარიზში გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დალესმა და დასავლეთ გერმანიის კანცლერმა ადენაუერმა, „შეთანხმებულია და ავსებენ ერთმანეთს“.

ბერლინი, 15 დეკემბერი. (საკდესი). როგორც შტუტგარტის (დასავლეთ გერმანია) რადიო იუწყება, დღეს დილით დანიშნულია საფრანგეთის მთავრობის რიგგარეშე სხდომა. საფრანგეთის მთავრობის სხდომის მოწვევის საბაბი იყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის გუშინდელი განცხადება ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ.

შტუტგარტის რადიო აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის განცხადებამ აღაშფოთა საფრანგეთის მთავრობის წევრები. ფიქრობენ, რომ ახლა ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციის შანსები შემცირდა.

ლონდონი, 15 დეკემბერი. (საკდესი). „დეილი მირორის“ პარიზელი კორესპონდენტი წერს, რომ დალესმა „ბევრი მუქარა გამოთქვა დასავლეთ ევროპის მიმართ“.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ პარიზელი კორესპონდენტი ვრცელ წერილში იმის შესახებ, თუ როგორ გამოეხმაურნენ საფრანგეთში დალესის განცხადებას, ეხება იმ აზრს, რომ ამ განცხადებას შეიძლება „მოჰყვეს საწინააღმდეგო შედეგები და უზრუნველყოს რესპუბლიკის პრეზიდენტად ისეთი კანდიდატის არჩევა, რომელიც ევროპის თავდაცვითი გაერთიანების წინააღმდეგია“.

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა საფრანგეთის გამოხმაურებას პრეს-კონფერენციაზე დალესის განცხადების გამო, გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი კალენდერი პარიზიდან გადმოგცემს, რომ დალესის მუქარა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა შეიცვლება, თუ ევროპის არმიის შექმნის პროექტი უარყვესო, „მეხივით დაატყდა თავს დღეს საფრანგეთს...

ფიქრობენ, რომ მისი (დალესის) მკვახე გაფრთხილება დასავლეთ ევროპისადმი შეეხება პირველ რიგში ფრანგებს, რომლებიც დიდიანია ვერ ბედავენ დაამტკიცონ ხელშეკრულება ევროპის არმიის შესახებ. ბევრს ეს გაფრთხილება მიაჩნია თავისებურ ულტიმატუმად, რომელიც წამოაყენეს საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნების სამი დღით ადრე, არჩევნებისა, რომლებშიც, როგორც ფიქრობენ, გარკვეულ როლს შეასრულებს საფრანგეთის ევროპული პოლიტიკის საკითხი“.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს პარიზელი კორესპონდენტი გადმოგცემს, „საფრანგეთის წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობის წარმომადგენლები საშინლად აღაშფოთა დალესის უხეშმა შენიშვნებმა. მათ კონფიდენციალურ საუბრებში აღნიშნეს, დალესის განცხადებებს შეუძლია კიდევ უფრო შეამციროს იმის შანსი, რომ საფრანგეთის პარლამენტი დაამტკიცებს ხელშეკრულებას ევროპის თავდაცვითი გაერთიანების შესახებ“.

საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კონფერენცია

პარიზი, 14 დეკემბერი. (საკდესი). 12 და 13 დეკემბერს პარიზში გაიმართა მშვიდობის მომხრეთა ეროვნული კონფერენცია, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის ყველა კუთხიდან ჩამოსულმა 500 დელეგატმა.

კონფერენციამ განიხილა საფრანგეთის უშიშროების უზრუნველყოფისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საკითხები, აგრეთვე მშვიდობის მოსმხრეთა მოძრაობის ორგანიზაციული ფორმებისა და იმ ღონისძიებათა საკითხები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ის, რომ საფრანგეთში უაღრესად ფართო მასშტაბით და წარმატებით განხორციელდეს კამპანია ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ და ინდოჩინეთში ომის შეწყვეტისათვის.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა ეროვნული კრების დეპუტატებისა და რესპუბლიკის საბჭოს წევრებისადმი, წერილი ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტისადმი და რეზოლუცია ზოგად საკითხებზე.

პარლამენტის წევრებისადმი მიმართვაში ნათქვამია:

„ჩვენ დაბეჯითებით გთხოვთ მიაღწიოთ ჩვენი საკუთარი საგარეო პოლიტიკის აღდგენას, საფრანგეთის უფლებათა აღდგენას, მიაღწიოთ იმას, რომ იგი კვლავ ასრულებდეს როლს, რომგორც დიდი სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს.

ფრანგი ხალხი მოელის, რომ თქვენ გადაჭრით იტყვით უარს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა რატიფიკაციაზე. იგი მოითხოვს მისი ნების პატივისცემას“.

რეზოლუცია ზოგად საკითხებზე მიესალმება ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევას და აღნიშნავს, რომ „საფრანგეთის მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი აზრისა და პარლამენტის წინაშე, ვეღარ აარიდებს თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკების იდეას“.

ჩინეთისა და კორეის პრესა ამხილებს კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის მტრების მანევრებს

პეკინი, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ მოწონავე სტატია მიუძღვნა იმას, რომ ამერიკის მხარემ შეწყვიტა მოლაპარაკება კორეის საკითხთა პოლიტიკური კონფერენციის მოწვევის შესახებ. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ფაქტები სავსებით ცხადყოფენ, რომ მოლაპარაკების შეწყვეტა, ეჭვი არ არის, წინასწარ ჰქონდა განზრახული ამერიკის მხარეს. მაშინ როცა შეერთებული შტატები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ხელი შეეშალათ კორეის საკითხის განხილვისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-8 სესიაზე და მოითხოვდნენ ასამბლეის მუშაობის დროებით შეწყვეტას, ამერიკის მხარის წარმომადგენელმა პანმინჯომის მოლაპარაკებაში, იმ მოსაზრებით, რომ გენერალური ასამბლეის სესია შეწყდებოდა, კიდევ უფრო გააქტიურა თავისი მოქმედება მოლაპარაკების ჩაფუშვის მიზნით.

კორეა-ჩინეთის მხარე, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მტკიცედ მოითხოვს გაგრძელდეს ორივე მხარის მოლაპარაკება. თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ოდნავ მაინც უწევდეს ანგარიშს მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა აზრს, მან კვლავ უნდა გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი პანმინჯომში, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დაეკისრება სერიოზული პასუხისმგებლობა კორეის საკითხთა პოლიტიკური კონფერენციის ჩაფუშვისათვის.

ფხენიანი, 15 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „მინჯუ ჩოსონი“ სარედაქციო სტატიაში სათაურით „ამერიკის მხარეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ორი მხარის მოლაპარაკების ჩაფუშვისათვის“ წერს:

ჩინი, რომელშიც მოლაპარაკება მოექცა, შედეგია ამერიკის მთავრობის პოლიტიკისა, რომელიც ცდილობს საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნების მიზნით ჩაფუშოს შეთანხმება კორეაში დაზავების შესახებ, ძალით დაარკვიოს სამშვიდრო ტყვეები და ხელი შეუშალოს კორეის საკითხის მშვიდობიან გადაჭრას. როგორც პოლიტიკური კონფერენციის საკითხზე მოლაპარაკების მსვლელობა გვიჩვენებს, ამერიკის მხარე თავიდანვე მოვიდა მოლაპარაკებაზე არა იმ მიზნით, რომ მოწვეული ყოფილიყო პოლიტიკური კონფერენცია, არამედ იმ განზრახვით, რომ ხელი შეეშალა მისი მოწვევისათვის.

ამიტომ, წერს „მინჯუ ჩოსონი“, მთელი პასუხისმგებლობა მოლაპარაკების ჩაფუშვისათვის უნდა დაეკისროს ამერიკის მხარეს.

გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ თავის მხრივ მოწონავე სტატიაში ამხილებს მოლაპარაკების მონაწილე ამერიკის წარმომადგენლის უხეირო ცდებს კორეა-ჩინეთის მხარეს გადააკისროს პასუხისმგებლობა შექმნილი მდგომარეობისათვის.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის შედეგების გამო

ბერლინი, 15 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის საგენტო იუწყება, გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ გამოაქვეყნა კომუნიკე გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურის მომწყობი კომიტეტის საბოლოო სხდომის შესახებ. ამ სხდომას, რომელიც მიმდინარეობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ოტო ნუშკეს თავმჯდომარეობით, დაესწრნენ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე დიდი ბერლინის ობერბურგომისტრი ფრიდრიხ ებერტი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარე იოჰანეს დიკმანი, მხარეთა პალატის თავმჯდომარე რ. ლობედანცი და სხვ.

გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გენერალურმა მდივანმა გ. გრიუნბერგმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დამთავრებული ერთთვიური დიდი წვლილია გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში.

კომუნიკეში გამოთქმულია მადლობა ყველა საბჭოთა სტუმრისადმი — მეცნიერებისადმი, ხელოვნების მოღვაწეებისადმი, სპორტსმენებისადმი და სხვ., რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იყვნენ ერთთვიურის დროს.

ამ ხნის განმავლობაში, აღნიშნულია კომუნიკეში, განხორციელდა 130.000-ზე მეტი სხვადასხვა კულტურულ-პოლიტიკური ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 18 მილიონმა კაცმა. გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში ერთთვიურის დროს შევიდა 160.000-ზე მეტი კაცი.

ამერიკის ჟურნალი ამერიკის შეერთებული შტატებისა და პაკისტანის სამხედრო კავშირის მიზნების შესახებ

ნიუ-იორკი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი“ 18 დეკემბრის ნომერში ეხება შეერთებული შტატების დამოკიდებულებას ინდოეთთან და პაკისტანთან.

ჟურნალი ურჩევს შეერთებულ შტატებს „უფრო მკაცრი“ პოლიტიკა განახორციელონ ინდოეთის მიმართ, რათა აიძულონ იგი ხელი აიღოს საგარეო პოლიტიკის თავის ახლანდელ კურსზე.

„შეერთებული შტატები, — აღიარებს ჟურნალი, — საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სამხრეთ აზიაში. ამერიკის სამხედრო დახმარება პაკისტანისადმი, თუმცა დახმარების საკითხი ჯერ კიდევ მოლაპარაკების სტადიაშია, ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს შეშფოთებას იწვევს“... მიუხედავად ამისა, ჟურნალის სიტყვით, „ადრე თუ გვიან შეერთებული შტატები, ალბათ, გაუგზავნიან საჭურველს პაკისტანს... ვიცე-პრეზიდენტმა ნიქსონმა, რომელიც ამას წინათ იყო კარაჩსა და დელში, მხარი დაუჭირა, როგორც იუწყებიან, პაკისტანისათვის სამხედრო დახმარების გაწევას. პაკისტანი პირობას იძლევა უწინარეს ყოვლისა მხარი დაუჭიროს ანტიკომუნისტურ პოზიციას შუა აღმოსავლეთში როგორც კომუნისტური ჩინეთის წინააღმდეგ, ისე რუსეთის წინააღმდეგ“.

ეგვიპტის მთავრობის პროტესტი ინგლისის მთავრობისადმი

კაირო, 15 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-გუმ-ჰურია“ იუწყება, ეგვიპტის მთავრობამ ინგლისის საელჩოს ეგვიპტეში გადასცა საპროტესტო ნოტა იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისის ტანკებმა 5 დეკემბერს სროლა აუტეხეს ეგვიპტის სოფელ ალ-კურაინს.

ნეკროლოგი

ავქსენტი ბეგრელიძე

გარდაიცვალა ქართული ხალხური სიმღერისა და ხალხური საკრავების ცნობილი ოსტატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ავქსენტი მეგრელიძე.



ა. მეგრელიძე დაიბადა 1877 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. 1898 წლიდან დაიწყო სიმღერის მასწავლებლობა ოზურგეთში, ხოლო შემდეგ ჩამოაყალიბა დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების გუნდი და დაბა-ქალაქებში ხშირად მართავდა კონცერტებს.

1913 წლიდან ა. მეგრელიძე ფოთში ხელმძღვანელობდა მომღერალთა გუნდს, ხოლო 1927 წელს საქართველოში პირველად შექმნა მეჩონგურე გლეხთა ანსამბლი, რომელმაც პირველი ჯილდო მოიპოვა 1929 წლის ოლიმპიადაზე.

1933 წლიდან გარდაცვალებამდე ა. მეგრელიძე მოღვაწეობდა თბილისში. მან ჩამოაყალიბა მეჩონგურე ქალთა შესანიშნავი ანსამბლი, რომელიც შეუერთდა დასავლეთ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს და მონაწილეობა მიიღო მოსკოვში, ლენინგრადში 1937 წელს გამართულ ქართული ხელოვნების დეკადაში.

ა. მეგრელიძე თვითმოქმედი კომპოზიტორი იყო. მას შექმნილი და დამუშავებული აქვს მრავალი საჩონგურო სიმღერა: „პატაკი“, „მზიურ საქართველოს“, „დედა-სამშობლო გეძახის“, „სიმღერა ლურსმანაშვილზე“ და სხვ. პოპულარული გახდა მის მიერ საჩონგუროდ გადაკეთებული „სულიკო“.

მთელი რიგი წლების მანძილზე ა. მეგრელიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის ხალხური სიმღერების ანსამბლს. მან გუნდის მრავალი ხელმძღვანელი აღზარდა, იყო შესანიშნავი პედაგოგი, ოსტატურად იცოდა სიმღერების გადაცემა.

ა. მეგრელიძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

ამხანაგების გულში დიდხანს დარჩება ავქსენტი მეგრელიძის, ამ ჩუმი, ხელოვნებისათვის მეტად სასარგებლო მუშაკის ხსოვნა.

ამხანაგების ჯგუფი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

იმის გამო, რომ სსრ კავშირის პროკურატურამ გამომძიებელი ვ. ნ. მერკულოვის დანაშაულებრივი, ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში მისი მუშაობის პერიოდში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამა წლის 17 სექტემბრის წარდგენებით მოხსნა ვ. ნ. მერკულოვი სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრის პოსტიდან და მისცა იგი სასამართლო პასუხისგებაში.

• • •

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრად დანიშნა ამხ. ვასილ გაბრიელის-ძე ყეკორონკოვი.

1953 წლის 18 დეკემბერს საღამოს 7 საათზე ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქუჩა № 8) შედგება კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის II პლენუმი.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

17 დეკემბერს	დ. თორაძე— მშვიდობისათვის
18 დეკემბერს	ჯ. ვერდი — აიდა (დ. დონატოვის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

„კინოპროკატის“ საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

ა. წ. 17 დეკემბრიდან

თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე უშვებს ახალ მხატვრულ ფილმს

„მზითვიანი ქორწილი“

დღეს თეატრებსა და კინოებში

რუსთაველის სახელობის — დღესასწაული საკრეულაში, **მარჯანიშვილის სახელობის** — გიორგი სააკაძე (რკინიგზელის სახლში), **გრიბოედოვის სახელობის** — გვარს ნუ დავსახელებთ (ოფიცერთა სახლში), **მუსიკალური კომედიის** — საჩუქარი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კომბლე (აბონემენტი № 32, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ვიცე-ზემდეგი (7 ს.), **ანიტარული კულტურის** — შვილი.

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, თბილისი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — მზითვიანი ქორწილი, **კოლხიდა, დიდუბე** — დაკარგული მელოდიები, **კოლმეურნე** — არსენა, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — ტარაპუნკა და შტეპსელი ღრუბლებქვეშ, საუზმე წინამძღოლისას.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს ესაჭიროება მუშები შემ